

09. „ალვის ხე“ „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალ ტექსტსა და პოემის თურქულ თარგმანში

აბსტრაქტი

ციფრული ტექნოლოგიების მასშტაბურმა განვითარებამ, მეცნიერების თითქმის ყველა მიმართულებაზე მოახდინა ზეგავლენა. ტრადიციულ სამეცნიერო კვლევებში ციფრული მეთოდების, ტექნოლოგიებისა და ინსტრუმენტების გამოყენებამ ახალი პერსპექტივები მისცა ქართველოლოგიურ, მათ შორის რუსთველოლოგიურ კვლევებს და ხელი შეუწყო ინტერდისციპლინარული მიმართულებების განვითარებას. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ გაციფრებამ და მრავალენოვანი პარალელური კორპუსის შექმნამ მკვლევრებს საშუალება მისცა თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით შეისწავლონ პოემის ორიგინალი და თარგმნილი ტექსტები, რაც ხელს უწყობს სხვადასხვა ქვეყნის ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობების გაღრმავებას, შედარებით-შეპირისპირებითი კვლევების დაწყებასა და განვითარებას. ჩვენი კვლევის საგანია, შოთა რუსთაველის უნიკალური პოემის „ვეფხისტყაოსნის“ და მისი თურქული თარგმანის კვლევა თანამედროვე ციფრული მეთოდებით. პოემის და მისი თარგმანების ანალიზი კომპლექსურ ინტერდისციპლინურ მიდგომას მოითხოვს. კვლევა აერთიანებს როგორც ტრადიციულ (რუსთველოლოგია, თარგმანთმცოდნეობა, თურქოლოგია, ლინგვისტიკა), ისე „ციფრული რეკოლუციის“ შედეგად შექმნილ ახალ სამეცნიერო მიმართულებებს (ციფრული ჰუმანიტარია, კორპუსლინგვისტიკა, პარალელური კორპუსები და ა.შ.). თანამედროვე მეთოდების გამოყენება, როგორებიცაა ენობრივი მარკირება და ტექსტის სტრუქტურული ანალიზი, უზრუნველყოფს მეცნიერული მეთოდების ტრანსფორმაციას, რაც ახალი ცოდნის შექმნის, კვლევის ხარისხისა და მისი შედეგების სანდოობის გაუმჯობესების საშუალებას იძლევა. ეს ინტეგრაცია ქმნის ახალ ჩარჩოს, რომელიც აფართოებს ტრადიციული კვლევების საზღვრებს და გვთავაზობს კვლევის ინოვაციურ მიდგომებს, რაც ხელს უწყობს კვლევის სისტემურობას. ჩვენ განვიხილავთ „ვეფხისტყაოსანში“ ფართოდ გავრცელებულ სიმბოლოს - „ალვის ხე“ და ამ კონცეპტის გადატანის საკითხს ბილალ დინდარის და ზეინებალიდინ მაქსის მიერ შესრულებულ პოემის თურქულ თარგმანში. „ვეფხისტყაოსნის“ თურქულ თარგმანში „ალვის ხე“ სხვადასხვა შესატყვისითაა გადატანილი, მთარგმნელები ცდილობენ ამ სიმბოლოს კულტურულ და სტილისტურ ადაპტაციას, რაც კორპუსლინგვისტური ანალიზის მეთოდის საშუალებით საინტერესო შედეგებს გვაძლევს. მთარგმნელი თარგმნისას ძირითადად ცდილობს საკუთარ კულტურას მოარგოს ორიგინალ ტექსტში გამოყენებული „ალვის ხე“. ხშირ შემთხვევაში პოემის თარგმანში სიტყვათა ან კონცეპტთა გამოტოვება განპირობებულია არა შესაბამისი ლექსიკური ერთეულის არქონით, არამედ ორ ენას შორის არსებული ლინგვოეთნიკური ბარიერით. კვლევის მეთოდოლოგიურ ჩარჩოს წარმოადგენს კორპუსლინგვისტური ანალიზის მეთოდი. უფრო ზუსტად კი, სიმბოლო „ალვის ხე“ გამოვიკვლიეთ პარალელური კორპუსის ანალიზის, რაოდენობრივი ანალიზის, ლინგვოკულტუროლოგიური და ალინირების მეთოდების საშუალებით. ეს მეთოდები დაგვეხმარა გამოგვეკვლია აღნიშნული სიმბოლოს სიხშირე და კონტექსტუალური ანალიზი ორ ენაში, მისი სემანტიკური მნიშვნელობა, რითაც უკავშირდება იგი პერსონაჟებსა და მოვლენებს და ა.შ.

საკვანძო სიტყვები: „ვეფხისტყაოსანი“, თურქული თარგმანი, „ალვის ხე“, კორპუსლინგვისტიკა

“Kaplan Postlu” Manzumesinin Orijinal Metninde ve Eserin Türkçe Çevirisinde ‘Cennet Ağacı - Alva’¹

Nona NIKABADZE² & Maia BARAMIDZE³ & Lile TANDILAVA⁴

APA: Nikabadze, N. & Baramidze, M. & Tandilava, L. (2026). “The Tree of Heaven - Alva” in the Original Text of “The Knight in the Panther Skin” and in the Turkish Translation of the Poem. *RumeliDE Dil ve Edebiyat Araştırmaları Dergisi*, (50), 147-163. **DOI:** <https://doi.org/10.5281/zenodo.18542751>

Öz

Dijital teknolojilerin kapsamlı gelişimi, bilimin hemen her alanı üzerinde önemli bir etki yaratmıştır. Geleneksel bilimsel araştırmalarda dijital yöntemlerin, teknolojilerin ve araçların kullanılması, kartvelolojiye, özellikle de rustveloloji çalışmalarına yeni ufuklar açmış ve disiplinlerarası yönelimlerin gelişimine katkı sağlamıştır. Şota Rustaveli’nin *Kaplan Postlu* eserinin dijitalleştirilmesi ve çokdilli paralel bir derlem oluşturulması, araştırmacılara eserin hem özgün metnini hem de çevirilerini çağdaş yöntemler ve teknolojiler aracılığıyla inceleme imkânı vermiştir. Bu durum, farklı ülkelerin edebî ve kültürel ilişkilerinin derinleşmesine, karşılaştırmalı-karşıtlı araştırmaların başlatılmasına ve ilerletilmesine olanak sağlamaktadır. Araştırmamızın konusu, Şota Rustaveli’nin eşsiz eseri *Kaplan Postlu* ve onun Türkçe çevirilerinin çağdaş dijital yöntemleri kullanılarak incelenmesidir. Eserin ve çevirilerinin analizi, kapsamlı ve disiplinlerarası bir yaklaşımı gerektirmektedir. Çalışma hem geleneksel alanları (rustveloloji, çeviribilim, türkoloji, dilbilim) hem de ‘dijital devrim’ sonucunda ortaya çıkan yeni bilimsel yönelimleri (dijital beşeri bilimler, derlem dilbilimi, paralel derlem vb.) bir araya getirmektedir. Dilbilimsel Etiketleme ve metnin yapısal analizi gibi çağdaş teknolojilerin kullanımı, bilimsel yöntemlerin dönüşümünü sağlayarak yeni bilginin üretilmesine, araştırma kalitesinin ve sonuçlarının güvenilirliğinin artırılmasına imkân vermektedir. Bu bütünleşme, geleneksel araştırmaların sınırlarını genişleten ve yenilikçi araştırma yaklaşımları sunan yeni bir çerçeve oluşturmakta ve araştırmaların sistematikliğini güçlendirmektedir. Çalışmamızda, *Kaplan Postlu*’da yaygın şekilde kullanılan bir sembol olan ‘cennet ağacı’nı ve bu kavramın Bilal Dindar ile Zeynelâbidin Makas tarafından yapılan manzumenin Türkçe çevirilerde aktarılma biçimini ele almaktayız. Eserin Türkçe çevirilerinde

¹ **Beyan (Tez/ Bildiri):** Bu çalışmanın hazırlanma sürecinde bilimsel ve etik ilkelere uyulduğu ve yararlanılan tüm çalışmaların kaynakçada belirtildiği beyan olunur.

Çıkar Çatışması: Çıkar çatışması beyan edilmemiştir.

Finansman: Bu araştırmayı desteklemek için dış fon kullanılmamıştır.

Telif Hakkı & Lisans: Yazarlar dergide yayınlanan çalışmalarının telif hakkına sahiptirler ve çalışmalarını CC BY-NC 4.0 lisansı altında yayımlanmaktadır.

Kaynak: Bu çalışmanın hazırlanma sürecinde bilimsel ve etik ilkelere uyulduğu ve yararlanılan tüm çalışmaların kaynakçada belirtildiği beyan olunur.

Benzerlik Raporu: Alındı – Turnitin Oranı: %7

Etik Şikayeti: editor@rumelide.com

Makale Türü: Araştırma makalesi, **Makale Kayıt Tarihi:** 27.12.2025-**Kabul Tarihi:** 07.02.2026-**Yayın Tarihi:** 10.02.2026; **DOI:** <https://doi.org/10.5281/zenodo.18542751>

Hakem Değerlendirmesi: İki Dış Hakem / Çift Taraflı Körleme

² (%50) Dr., Batum Şota Rustaveli Devlet Üniversitesi, Beşeri Bilimler Fakültesi, Doğu Bilimcilik Bölümü / Dr., Batumi Shota Rustaveli State University, Faculty of Humanities, Department of Oriental Studies (Batumi, Georgia), **eposta:** nona.nikabadze@bsu.edu.ge **ORCID ID:** <https://orcid.org/0000-0002-5520-2860> **ROR ID:** <https://ror.org/0212gyx73> **ISNI:** 0000 0004 0397 090X

³ (%25) Prof. Dr., Batum Şota Rustaveli Devlet Üniversitesi, Beşeri Bilimler Fakültesi, Gürcü Dili ve Edebiyatı Bölümü / Professor, Batumi Shota Rustaveli State University, Faculty of Humanities, Department of Georgian Philology, (Batumi, Georgia), **eposta:** maia.baramidze@bsu.edu.ge **ORCID ID:** <https://orcid.org/0000-0001-8266-086X> **ROR ID:** <https://ror.org/0212gyx73> **ISNI:** 0000 0004 0397 090X

⁴ (%25) Prof. Dr., Batum Şota Rustaveli Devlet Üniversitesi, Beşeri Bilimler Fakültesi, Doğu Bilimcilik Bölümü / Professor, Batumi Shota Rustaveli State University, Faculty of Humanities, Department of Oriental Studies (Batumi, Georgia), **eposta:** ile.tandilava@bsu.edu.ge **ORCID ID:** <https://orcid.org/0000-0002-0118-2075> **ROR ID:** <https://ror.org/0212gyx73> **ISNI:** 0000 0004 0397 090X

‘cennet ağacı’ farklı şekillerde aktarılmış, çevirmenler bu sembolü kültürel ve üslup özelliklerine uygun biçimde aktarmaya çalışmışlardır. Bu durum, derlem dilbilimsel analiz yöntemi aracılığıyla dikkate değer sonuçlar ortaya koymaktadır. Çevirmen, metni aktarırken çoğunlukla özgün eserdeki ‘cennet ağacı’ nı kendi kültürüne uyumlu hale getirmeye çalışmaktadır. Çoğu durumda, eserdeki kelime ya da kavramların çevirilmemesi, uygun bir sözcük birimin bulunmamasından değil, iki dil arasındaki kültürel aktarım sorunundan kaynaklanmaktadır. Araştırmanın yöntemi derlem dilbilim analiz yöntemidir. Daha ayrıntılı olarak belirtmek gerekirse, ‘cennet ağacı’ sembolünü paralel derlem tabanlı analizi, niceliksel analizi, Linguo-kültüroloji ve hizalama yöntemleri aracılığıyla inceledik. Bu yöntemler, ‘cennet ağacı’ sembolünün iki dildeki kullanım sıklığı ve bağlamsal analizi incelememize; ayrıca sembolün semantik anlamını ortaya koymamıza imkân sağlamıştır; semantik anlamı, manzumedeki ‘cennet ağacı’nın karakterler ve olaylarla ilişkisini göstermektedir.

Anahtar kelimeler: *Kaplan Postlu*, Türkçe çeviri, ‘cennet ağacı’, korpus dilbilimi

“The Tree of Heaven - Alva” in the Original Text of “The Knight in the Panther Skin” and in the Turkish Translation of the Poem⁵

Abstract

The large-scale development of digital technologies has influenced almost every field of science. The integration of digital methods, technologies, and tools into traditional research has opened new perspectives for Kartvelology studies, including Rustvelology, and has promoted the advancement of interdisciplinary directions. The digitization of Shota Rustaveli’s *The Knight in the Panther’s Skin* and the creation of a multilingual parallel corpus have enabled researchers to study both the original poem and its translations using modern methods and technologies. This contributes to the deepening of literary and cultural relations among different countries and to the initiation and development of comparative-contrastive research. The subject of our study is the analysis of Rustaveli’s unique poem *The Knight in the Panther’s Skin* and its Turkish translations through modern digital methods. The analysis of the poem and its translations requires a complex interdisciplinary approach. The research combines both traditional fields (Rustvelology, Translation Studies, Turkology, Linguistics) and new academic directions emerging from the “digital revolution” (Digital Humanities, Corpus Linguistics, Parallel Corpora, etc.). The use of modern technologies, such as linguistic annotation and structural text analysis, ensures the transformation of scientific methods, allowing for the creation of new knowledge, as well as the improvement of research quality and reliability of results. This integration forms a new framework that expands the boundaries of traditional research and offers innovative approaches, thereby contributing to research systematization. In our study, we examine the widely present symbol of the “The Tree of Heaven” in *The Knight in the Panther’s Skin* and the issue of its

⁵ **Statement (Thesis / Paper):** It is declared that scientific and ethical principles were followed during the preparation process of this study and all the studies utilised are indicated in the bibliography.

Conflict of Interest: No conflict of interest is declared.

Funding: No external funding was used to support this research.

Copyright & Licence: The authors own the copyright of their work published in the journal and their work is published under the CC BY-NC 4.0 licence.

Source: It is declared that scientific and ethical principles were followed during the preparation of this study and all the studies used are stated in the bibliography.

Similarity Report: Received – Turnitin Rate: 7%

Ethics Complaint: editor@rumelide.com

Article Type: Research article, **Article Registration Date:** 27.12.2025-**Acceptance Date:** 07.02.2026-**Publication Date:** 10.02.2026; **DOI:** <https://doi.org/10.5281/zenodo.18509745>

Peer Review: Two External Referees / Double Blind

translation in the Turkish versions of the poem by Bilal Dindar and Zeynelâbidin Makas. In the Turkish translation, the "The Tree of Heaven" is rendered with different equivalents, as the translators attempt to culturally and stylistically adapt the symbol. This process, analyzed through corpus-linguistic methods, provides interesting results. In most cases, the translators tend to adapt the "The Tree of Heaven" from the original text to their own cultural context. Frequently, the omission of words or concepts in the translation is not caused by the absence of a lexical unit but rather by the linguistic and ethnocultural barrier existing between the two languages. The methodological framework of the study is corpus-linguistic analysis. More precisely, the symbol of the "The Tree of Heaven" was examined through parallel corpus analysis, quantitative analysis, linguocultural and alignment methods. These methods allowed us to investigate the frequency and contextual use of the "The Tree of Heaven" in both languages, as well as its semantic meaning, which reveals its connection with characters, events, and other aspects of the poem.

Keywords: "The Knight in the Tiger's Skin", Turkish translation, "The Tree of Heaven", Corpus Linguistics

შესავალი

ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ არსებითად შეცვალა ჰუმანიტარული მეცნიერებების კვლევის მეთოდოლოგიური ჩარჩო და გააფართოვა კლასიკური ტექსტების კვლევის შესაძლებლობები. კვლევის პროცესში ციფრული ჰუმანიტარიის, კორპუსლინგვისტიკისა და პარალელური კორპუსების გამოყენებამ ახალი პერსპექტივები შექმნა ქართველოლოგიურ კვლევებში, მათ შორის რუსთაველოლოგიაში, სადაც კლასიკური ტექსტების თანამედროვე ციფრული მეთოდებით შესწავლა მეცნიერებაში ახალ შესაძლებლობებს ჰქმნის. შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ გაციფრება და მისი მრავალენოვანი პარალელური კორპუსის შექმნა მკვლევრებს საშუალებას აძლევს, პოემის ორიგინალი და თარგმნილი ტექსტები შეისწავლონ სისტემურად, რაც ასევე ხელს უწყობს შედარებით-შეპირისპირებითი კვლევების განვითარებას და სხვადასხვა ლიტერატურულ-კულტურული ტრადიციების ურთიერთქმედების სიღრმისეულ გააზრებას.

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, მე-12 საუკუნის უნიკალური პოემაა, რომელსაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს არა მარტო ქართველი ერის კულტურულ მემკვიდრეობაში, არამედ მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაშიც. პოემა 58 ენაზეა თარგმნილი და იუნესკოს მსოფლიო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სიაშია შეტანილი. ჩვენი კვლევის საგანია „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალი ტექსტი და თურქული თარგმანები.

სანამ უშუალოდ საკვლევ საკითხზე გადავიდოდეთ, ჯერ მოკლედ მიმოვიხილავთ ქართულ-თურქულ ლიტერატურულ ურთიერთობებს, რომელიც მრავალსაუკუნოვან კულტურულ დიალოგს ეფუძნება, რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს კლასიკური და თანამედროვე ლიტერატურული ტექსტების თარგმნა - როგორც ქართული ლიტერატურის თურქულ ენაზე, ისე თურქული ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნა და კულტურულ სივრცეში დანერგვა. ქართველოლოგ გ. ოზთურქისა და ს. თელჯის მიხედვით, „თურქულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების ისტორია შედარებით ახალი ეტაპად შეიძლება ჩაითვალოს. შესაბამისად, ორ ქვეყანას შორის ლიტერატურული და კულტურული კავშირების გაძლიერებისა და განვითარების მიზნით ორივე ქვეყნის პოეტებისა და მწერლების ნაწარმოებების თარგმნა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია“ (Öztürk, Telci, 2021, s. 274). მისივე თქმით, ქართული ლიტერატურის აქტიური გაცნობა თურქი საზოგადოებისთვის დაიწყო 1940-იან წლებიდან, როცა ქართულიდან თურქულ ენაზე პირველი თარგმანები ჟურნალისტმა და მწერალმა ნიაზი აჰმედ ბანოღლუმ შესარულა (Öztürk, 2021, s. 955). გ. ოზთურქი დასძენს, რომ „1991 წელს ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ავტორის, შოთა რუსთაველის, ნაწარმოები „ვეფხისტყაოსანი“ თურქულ ენაზე თარგმნა პროფესორმა ბილალ დინდარმა. ამასთან ერთად, „დედე ქორქუთის ეპოსი“-ს ქართულად თარგმნაც მნიშვნელოვანია, რადგან ეს ეპოსი არა მხოლოდ ლიტერატურული მემკვიდრეობა, არამედ ისტორიული, სოციალკულტურული და იდეოლოგიური მემკვიდრეობის სივრცედ განიხილება. ეპოსის მრავალმრიანი სტრუქტურა მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის თურქული საზოგადოების ღირებულებებზე, კულტურულ კოდებსა და იდენტობის ფორმირების პროცესებზე (Öztürk, 2025, s. 98). ქართულ ენაზე ითარგმნა ასევე ქოროლი, ჯალალედინ რუმი, იუნუს ემრე, მუჰამედ ფუზული, ნეფი, აჰმედ ჰამიმი, მიჰრი ხათუნი, მეჰმედ ემინი, იაქუფ ქადრი, საბაჰათინ ალი, თევფიქ ფიქრეთი, ჰაირულაჰ ეფენდი, ფაქირ ბაიქურთი, სუათ დერვიში, რუჰი ბადდადი და სხვა მნიშვნელოვანი მწერლებისა და პოეტების ცხოვრებისა და ლიტერატურული მოღვაწეობის ამსახველი ნაშრომები“ (Öztürk, 2023, s. 613). საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ „ვეფხისტყაოსანი“ თურქულ სალიტერატურო სივრცეში პირველად გამოჩნდა აჰმედ ოზქან მელაშვილის წიგნში „საქართველო“, რომელიც 1968 წელს დაიბეჭდა (Katcharava, 2017, s. 397). პოემის უამრავი ფრაგმენტული თარგმანი გვაქვს, თუმცა ჩვენი კვლევის საგანს ამჯერად ბ. დინდარისა და ზ. მაქასის სრული თარგმანი წარმოადგენს. ზემოთ აღნიშნული ცხადყოფს, რომ

ქართულ-თურქულ ლიტერატურული ურთიერთობები ერთგვარად ან ეპიზოდურ მოვლენას კი არ წარმოადგენს, არამედ ეფუძნება მრავალწლოვან, სისტემურ სამეცნიერო და ლიტერატურულ თანამშრომლობას. კლასიკური და თანამედროვე ტექსტების ორმხრივი თარგმნის პრაქტიკა არა მხოლოდ კულტურულ დიალოგს აღრმავებს, არამედ ქმნის საერთო კვლევით სივრცეს, სადაც ლიტერატურული მემკვიდრეობა განიხილება შედარებითი, თეორიული და ინტერდისციპლინული პერსპექტივით. აღნიშნული პროცესები მნიშვნელოვანი საფუძველია რეგიონში ლიტერატურული ურთიერთობების უწყვეტი განვითარებისა და სამეცნიერო თანამშრომლობის გაძლიერებისთვის.

წინამდებარე ნაშრომში განვიხილავთ „ვეფხისტყაოსანში“ ფართოდ გავრცელებულ სიმბოლოს ალვის ხეს და ამ კონცეპტის გადატანის საკითხს ბილალ დინდარისა და ზეინაბალიდინ მაქსის მიერ შესრულებულ თურქულ თარგმანში. ალვის ხე თურქულ თარგმანში მთარგმნელებს სხვადასხვა ლექსიკური ერთეულით გადააქვთ, რაც განპირობებულია ორ კულტურას შორის არსებული განსხვავებით.

სამიზნე ენაში ხშირად ვხვდებით კულტურულ-სპეციფიკურ კონცეპტებს, რადგან მთარგმნელი ცდილობს საკუთარ კულტურას მოარგოს ორიგინალი ტექსტის ლექსიკური ერთეულები. ამ პროცესში მთარგმნელი შუამავლის როლს ასრულებს ორ განსხვავებულ ენობრივ და კულტურულ სივრცეს შორის. სწორედ ამ კონტექსტში ჩნდება კონცეპტუალური შეუსაბამობის, მნიშვნელობის ტრანსფორმაციისა და კულტურული გადანაცვლების საკითხები, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოა სიმბოლური დატვირთვის მქონე ლექსიკური ერთეულების თარგმნისას (Nikabadze, 2023, s. 80).

კულტურულ-სპეციფიკური კონცეპტების გადატანა სამიზნე ენაში ხშირად მოითხოვს არა მხოლოდ ლექსიკური შესატყვისის შერჩევას, არამედ იმ სემანტიკური და კულტურული ასოციაციების გათვალისწინებასაც, რომლებიც მოცემულ კონცეპტს ორიგინალ ენაში აქვს. თარგმანში ორიგინალ ტექსტში არსებული კონცეპტი შესაძლოა შეცვლილი ან ნაწილობრივ იყოს გადატანილი თავისი მნიშვნელობით, ან, პირიქით, მისი თარგმანი გვხვდება სამიზნე კულტურის მსოფლმხედველობის შესაბამისად.

მსჯელობა, კვლევა

კორპუსლინგვისტური ანალიზის მიხედვით, ალვის ხე „ვეფხისტყაოსანში“ 38-ჯერ დასტურდება და გვხვდება სხვადასხვა ბრუნვის ფორმით - ალვა, ალვას, ალვასა, ალვის, ალვისა, ალვისაც, ალვისაგან, ალვით, ალვად. თურქულ თარგმანში გვხვდება მრავალფეროვანი შესატყვისით და დასტურდება 18-ჯერ, დანარჩენ შემთხვევაში თარგმნილი არაა ან იგულისხმება. შესატყვისებს შორის გვხვდება შემდეგი ლექსემები - tuba ağacı (სამოთხის ხე), servi boylu (კვიპაროსის ტანიანი), sevi ağacı (კვიპაროსის ხე), sidr ağacı (კედრის ხე), servi (კვიპაროსი), servinaz (ნორჩი კვიპაროსი), boylu-poslu (მაღალი, მიმზიდველი აღნაგობის), tuba boylu (სამოთხის ხის ტანიანი).

პირველ რიგში განვმარტოთ ალვის ხე, სულხან-საბას სიტყვის კონის მიხედვით, ალვის ხე არის სარო (Sulkhan-Saba, 1949, s. 13), სარო არის კვიპაროზი (Sulkhan-Saba, 1949, s. 571), ხოლო კვიპაროზი, არის ალვის ხე (Sulkhan-Saba, 1949, s. 300). „ვეფხისტყაოსანში“ ალვის ხე სხვადასხვა მხატვრული ხერხის გადმოსაცემად გამოიყენება, ის ხშირად წარმოადგენს მეტაფორას, შედარებას, ეპითეტს და ტექსტში მთავარი გმირის მშვენიერებას/ტანწერწეტობას გამოხატავს. ალვის ხე ხშირად იწოდება ედემის ხედ, რაც ჩვენი კვლევის ძირითად ობიექტს წარმოადგენს.

ნესტან სულავას აზრით, ედემის ხე შოთა რუსთველის პოემის გმირთა რჩეულობას წარმოაჩენს, განსხვავებით ქ. ელაშვილისაგან, რომელიც მიიჩნევს, რომ ალვის ხე „ვეფხისტყაოსანში“ არის სრულყოფილი სილამაზისა და ნატიფობის სახე-სიმბოლო (Elashvili, 2014, s. 28) ჩვენი მოსაზრებით, ალვის ხე არამარტო პოემის გმირთა სილამაზის, მშვენიერი გარეგნობის გამოსახატავად გამოიყენება, არამედ უფრო ღრმა, სიმბოლური მნიშვნელობა აქვს, რადგან მის მიღმა მინიშნებულია ის სულიერება, რაც პოემის მთავარ პერსონაჟებს ახასიათებს.

„ვეფხისტყაოსანში“ მრავალგზის ნახსენები სიმბოლო ადამიანისა – ხე, უმეტესად კი ალვა, არის ღვთის მიერ საუკეთესო ადგილზე დანერგილი და ღვთისაგან ზეგარდმო განსაკუთრებული ზრუნვითა და მაღლით ნაზარდი, იგი ველური არ არის, ეს მეტაფორა – ედემის ხე, ედემს ნაზარდი ალვა – ძველთუძველესია, იგი ბიბლიიდან, შუამდინარული მითოლოგიიდან და პოეზიიდან მომდინარეობს, უძველესი მითოლოგიური წარმოდგენები ამგვარი მეტაფორული აზროვნებითაა გაჯერებული (Sulava, 2009, s. 34).

Shota Rustaveli (1196-1207) [1.50.]

მეფეთა შიგან სიუხვე, | ვით ედემს ალვა, რგულია;

Cömertlik şahlar için cennetteki **tuba ağacı**, [1.50.]

Schota Rustaveli (1196-1207) [2.77.]

ავთანდილის შემხედველთა: | "ჰგავსო ალვას, ედემის ხეს".

Büyük hayret bürümüştü Aftandil'e bakanları. [2.77.]

Schota Rustaveli (1196-1207) [23.522.]

არცა მზე ჰგვანდა, არც მთვარე, | ხე ალვა, ედემს ხეზული;

Güzelliği ziyadeydi ülklerden, güneşten, aydan. [23.522.]

Schota Rustaveli (1196-1207) [29.694.]

წყლად ევფრატსა უხვად ერწყო | ედემს რგული ალვა მჭევრი;

Sanarsın ab-ı kevserle sulanmış cennette bir **servi ağacı**. [29.694.]

Schota Rustaveli (1196-1207) [29.715.]

ვინ გუშინ ედემს ნაზარდი | ალვა მრგო, მომრწყო, მახია,

Ben ki, dün şahlarla kadeh kaldıran birisi idim, [29.715.]

დამოწმებულ ტაეპებში „ვით ედემს ალვა, რგულია“, „ჰგავსო ალვას, ედემის ხეს“, „ხე ალვა, ედემს ხეზული“, „ედემს რგული ალვა“, „ედემს ნაზარდი ალვა“ ალვის ხე ედემის ხეს ნიშნავს. ჩვენი აზრით, ალვა, რომელიც ედემში გაზრდილია, თავისი ალეგორიული და სიმბოლური მნიშვნელობით სიცოცხლის ხეს გულისხმობს. ასევე აღსანიშნავია, რომ ედემში გაზრდილი ალვის ხის მეტაფორა მიგვანიშნებს პოემის პერსონაჟთა სრულყოფილებებისკენ სწრაფვაზე. მსგავსი მოსაზრება აქვს ლ. წერეთელსაც, მისი აზრით, „ალვა ედემს დანერგული“ მოაზრებულია „სიცოცხლის ხის“ ფუნქციით, რომელიც სურნელს გამოსცემს, ღვთის მაღლის მომფენია“ (Tsereteli, 2011-2012, s. 60). ალვის ხეს სიცოცხლის ხედ მოიხსენიებს ზ. გამსახურდიაც თავის ნაშრომში „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება“. ზ. გამსახურდიას მიხედვით, „ცხოვრების ხეზე მიაწიშნებენ ვეფხისტყაოსნის შემდეგი გამოთქმები: „ედემს რგული ალვა მჭევრი“, „ედემს ნაზარდი ალვა“, „ხე ედემს რგული“ და

ა.შ.; ... ეს ხე ანარეკლია იმ ცხოვრების ხისა, რომელიც უფალმა რგო ედემში" (Gamsakhurdia, 1991, s. 89). ალვის ხისა და სიცოცხლის ხის ერთმანეთთან მიმართების შესახებ თავის მოსაზრებას გვიზიარებს ქ. ელაშვილიც, რომლის მიხედვითაც, „წმინდა ნინოს ცხოვრებაში“ კლდეზე განმარტოებით მდგარი ალვის ხე სიცოცხლის ხეა და მისგან შეიქმნა სამი ჯვარი (Elashvili, 2014, s. 28).

აღსანიშნავია, რომ ქართულ ენაში ალვის ხეს სხვადასხვა სიმბოლური მნიშვნელობაც აქვს. ხალხურ პოეზიაში შემორჩენილია უძველესი წარმოდგენები, რომელთა მიხედვითაც მარანში ამოსული ალვა ყურმენს ისხამს, ვაზისა და ალვის ხის ამ სიმბოლურ შერწყმას ქ. ელაშვილი შემდეგნაირად ხსნის: „ვაზი არის სიმბოლო მზესთან სწორფერობის, მზესთან ზიარების. ეს ვაზის შინაგანი ლტოლვა და ბუნებაა, ხოლო მზესთან ზიარების გარეგანი გამოხატულება კი იშიფრება ალვის ხის „ხედამავალი“ სწრაფვით ცისაკენ. არც ერთ ტანმალა ხე-მცენარეში არ იგრძნობა სიმაღლისკენ ლტოლვის ასეთი დინამიკა და ენერგია, რა განწყობილებასაც ტოვებს ალვის ხე. რ. სირაძის განმარტებით, ვაზი არის შინაგანი ზიარება მზესთან, ალვა კი ამ ზიარების გარეგანი გამოვლენა. როგორც ვხედავთ, ალვა ასოციაციურად მზესთან და ვაზთანაა დაკავშირებული და ის ჯერ კიდევ ქრისტიანობის გავრცელებამდე არსებობდა ქართულ ცნობიერებაში, რამეთუ მეგრულმა სიტყვიერებამ ალვის ხის თეთრი ანუ ნათელი ხის სახით არსებობის შესახებ შემოგვინახა ცნობები (Ramishvili, 2013, s. 231-232). ალვის ხის მზესთან კავშირი მხოლოდ ქართულ და თურქულ რეალობაში არ გვხვდება, ვ. ნოზაძის მიხედვით ალვის ხეს მზესთან აკავშირებდნენ სირიელებიც, რომლებიც მას მზის ხეს უწოდებდნენ. იქ ალვა წმინდა ხედ ითვლებოდა და ის მზის ღმერთისადმი იყო მიძღვნილი (ნოზაძე, 1957, s. 350).

რაც შეეხება ალვის ხის, ედემის/სამოთხის ხის „ვეფხისტყაოსნის“ თურქულ თარგმანში გადატანის საკითხს ძირითადად თარგმნილია შემდეგი შესატყვისებით: 1) tuba ağacı; 2) servi ağacı; მისი ქართული თარგმანია - tuba ağacı - სამოთხის ხე; ხე, რომლის ქვეშაც არის სამოთხე (Chlaidze, 2001:1374). ხოლო, servi ağacı - კვიპაროსის ხე;

თურქულ კულტურასა და ლიტერატურაში გავრცელებულ სიმბოლოს - Tuba ağacı-ს (სამოთხის ხე) შემდეგნაირად ახასიათებენ: „ფესვები მაღლა, ტოტები დაბლა აქვს. მუსლიმური კულტურის მიხედვით, თუბას ხის ქვეშა მოქცეული მთელი სამოთხე“ (Yücel, 2013, s. 41). ისლამურ კულტურაში ხის სიმბოლიკას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მუსლიმთა წმინდა წიგნში ხშირად ნახსენები Tuba ağacı, როგორც რელიგიური კონცეპტი, და მის აღსანიშნად ასევე გამოიყენება კონცეპტი სიცოცხლის ხე (Ağaç, Sakarya, 2015, s. 8). უნდა აღინიშნოს, რომ სამოთხის ხე ისლამამდელ პერიოდშიც გვხვდება, ერთ-ერთ წყაროში ვკითხულობთ: „სამოთხის ხე ძველ თურქულ რწმენაში სიცოცხლის ხესთანაა გაიგივებული“ (Öztürk, 2012, s. 61).

საინტერესოა თურქულ კულტურაში გავრცელებული სიცოცხლის ხის კავშირი მზესთან, ზემოთ ჩვენ უკვე განვიხილეთ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში სიცოცხლის ხისა და მზის ურთიერთკავშირის შესახებ სხვადასხვა მოსაზრება. როგორც ჩანს, აღნიშნული საკითხი თურქულ კულტურასა და სამეცნიერო ლიტერატურაშიც აქტუალურია. მ. ელიადე სტატიაში „სიცოცხლის ხის სიმბოლიკა“ აღნიშნავს, რომ: „სიცოცხლის ხის ფესვები გას წვდება, ტოტები კი მთელ სამყაროს, ის მზეა, რომელიც ყველაფერს აცისკროვნებს“ (Eliade, 2003, s. 274-275).

რაც შეეხება servi ağacı-ს (კვიპაროსის ხე), რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ თურქულ თარგმანში ხშირად გვხვდება ალვის ხის შესატყვისად, თურქულ კლასიკურ ლიტერატურაში სატრფოს სილამაზისა და ტანწერწებობის აღსანიშნად ყველაზე გავრცელებული ფორმაა. არსებობს მოსაზრება, რომ სიცოცხლის ხე კვიპაროსია: „სიცოცხლის ხედ ხშირ შემთხვევაში კვიპაროსი

მოიაზრება. კვიპაროსი წელიწადის ნებისმიერ დროს მწვანეა, ლამაზ ფესვიანია და ცამდე ცეცხლის ალივით მაღლდება“ (Ağaç, Sakarya, 2015, s. 4). თურქულ კულტურაში კვიპაროსი თავდაპირველად გამოხატავდა „სიცოცხლის ხეს“. სიცოცხლის ხე, რომელიც მითოლოგიაში აღნიშნავს სამყაროს ცენტრს და სემიტურ რელიგიებში სამოთხეში მდგარი ხეა, მსოფლიოს სხვადასხვა კულტურაში გავრცელებულ უძველეს ხეს წარმოადგენს, რომელსაც უძველესი დროიდან ვხვდებით წყაროებში (Belli, 1982, s. 8). აღსანიშნავია, რომ ალვის ხისა და კვიპაროსის იდენტურობაზე საუბრობს ვ. ნოზადე ნაშრომში „ვეფხისტყაოსნის ვარსკვლავთმეტყველება“.

ვ. ნოზადის მიხედვით, ალვა უძველესი დროიდან ორაზროვანი სიმბოლო იყო და უმთავრესად მარადიულ სიცოცხლეს განასახიერებდა. ვ. ნოზადე აღნიშნავს, რომ ალვა, კვიპაროსი არის მაზდეური რელიგიის სიმბოლო, სახელი ალვა, რომელიც სპარსულ-არაბულ მწერლობაში ხშირად იხმარება, ევროპულ ენებზე ითარგმნება როგორც კვიპაროსი და იქვე დასძენს, რომ „ძველ სპარსეთში ალვაში ხედავდნენ მცენარულ წარმომადგენელს წარმომშობი ცეცხლისათვის. ფირდოუსის „მეფეთა წიგნში“, ალვა იყო პირველი ხე ირანულ სამოთხეში; ზარათუშტრამ გადმოწერა იგი მიწაზე, რადგან იგი ამ ხე ალვაში ღმერთ აპურა-მაზდას ხატს ხედავდა. ამიტომ ყველა ტაძრის წინ, მეფის სასახლის ეზოში და სალხინო წალკოტებში ალვასა ჰრგავდნენ და ეს იყო სუსტი მოგონება დაკარგულ სამოთხეზე“ (Nozadze, 1957, s. 350). ვ. ნოზადის აზრით, ქრისტიანობის გავრცელებასთან ერთად ალვა გაქრა, რადგან ალვა მაზდეიზმის სამოთხეში დარგულ წმინდა ხედ იწოდებოდა. „ვეფხისტყაოსანში“ კი სამოთხის ხედ უსათუოდ ირანული ხალხური პოეზიიდან უნდა შესულიყო.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ კვიპაროსის ხე, რომელიც ცხოვრების ხის სიმბოლოს წარმოადგენს, სიმაღლისა და მარადმწვანეობის გამო „მარადისობის“ სიმბოლოდ იქცა. თურქულ კულტურაში გავრცელებული რწმენით კი გარდაცვლილ წინაპართა სულები კვიპაროსის ხის მეშვეობით ზეცაში აღწევენ (Ergun, 2004, s. 17-18).

ესთეტიურობის თვალსაზრისით, კვიპაროსის ხე გამოხატავს სატრფოს ტანის სიმაღლესა და მოხდენილ რხევას შორის არსებულ ჰარმონიულ კავშირს, რაც საყვარელი ადამიანის გარეგნობას უფრო მიმზიდველს ხდის. სწორედ ამ სილამაზისა და გრაციოზული მოძრაობის გამო, კვიპაროსი პოეზიაში იქცა სატრფოს სიმაღლისა და მოხდენილი სიარულის მეტაფორულ სახედ (Bayram, 2006, s. 279-282). საყურადღებოა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი ტაეპის ალვა დინდარსა და მაქასს შემდეგნაირად აქვთ თარგმნილი:

Schota Rustaveli (1196-1207) [24.553.]

ადრე მოდიო, გიბრძანებს | მსგავსი ალვისა ზრდილისა.

Durma, yetiş huzuruma, emr ediyor o **servinaz**. [24.553.]

მთარგმნელებს გამოყენებული აქვთ ლექსიკური ერთეული servinaz, თურქულ კლასიკურ ლიტერატურაში ხშირად გვხვდება მეტაფორა serv-i nâz-ი, რაც კვიპაროსის ხის სამი სახეობიდან ერთ-ერთია და ნიშნავს ნორჩ კვიპაროსის ხეს, რომლის ნაზი რხევა ქარში სატრფოს მოხდენილობასთან ასოცირდება. მსგავსი მნიშვნელობით გვხვდება „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალი ტექსტის რამდენიმე ტაეპში, სადაც serv-i nâz - ნორჩი კვიპაროსის ხე „მორჩი ალვისა“ ფრაზის შესატყვისადაა გამოყენებული (19.491.ვკითხე, თუ: "ნეტარ, მისრულა | **მორჩი ალვისა** ხე მისად?).

როგორც კვლევამ გვიჩვენა, ქართულსა და თურქულ კულტურაში ედემის/სამოთხის ხეს მსგავსი მნიშვნელობა აქვს. ორივე ენაში დასტურდება მისი კავშირი სამოთხესა და სიცოცხლის ხესთან, ორივე კულტურაში გაიგივებულია მხესა და კვიპაროსთან. ალვის ხე, როგორც სამოთხის ხისა და სიცოცხლის ხის აღმნიშვნელი სიმბოლიკა, ორივე კულტურაში, როგორც წარმართულ ხანაში, ასევე ერთღმერთიანობის აღიარების შემდეგაც, არ კარგავდა აქტუალობას. როგორც ქართულ, ისე

თურქულ ლიტერატურაში იგი ასოცირდება მზესთან - სიცოცხლის, განახლებისა და მარადიულობის უნივერსალურ სიმბოლოსთან, ხოლო ცისკენ აზიდული კვიპაროსი ხაზს უსვამს მარადიული სიცოცხლის იდეას. ალვის ხე, როგორც სამოთხის ხისა და სიცოცხლის ხის სიმბოლო, ორივე კულტურაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს. რელიგიური პარადიგმის ცვლილების მიუხედავად, ხის არქეტიპმა შეინარჩუნა თავისი ძირითადი ფუნქცია - იყოს შუამავალი მიწიერ და ზეციურ სამყაროებს შორის სიცოცხლის უწყვეტობისა და სულიერი აღმავლობის ნიშნად.

ამგვარად, ედემის/სამოთხის ხის მოტივი ქართულსა და თურქულ კულტურებში წარმოაჩენს კულტურულ მემკვიდრეობათა უწყვეტობასა და სიმბოლური აზროვნების მდგრადობას, სადაც ძველი მითოლოგიური შრეები ორგანულად ერწყმის მონოთეისტურ მსოფლმხედველობას და სხვადასხვა სახის რელიგიურ, ლიტერატურულ თუ კულტურულ ინტერპრეტაციაში კვლავ ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას.

რაც შეეხება ალვის სხვა შემთხვევებს, ხშირად თარგმნილი არაა. ჩვენ წარმოგიდგენთ რამდენიმე ტაეპის მაგალითს, რომელშიც ნათლად ჩანს, თუ რა სახის შესატყვისები აქვს გამოყენებული თურქ მთარგმნელს. ესენია *servi boylu* - კვიპაროსის ტანიანი, *sevi ağacı* - კვიპაროსის ხე, *sıdr ağacı* - კედარის ხე, *servi* - კვიპაროსი, *servinaz* - ნორჩი კვიპაროსი, *boylu-poslu* - მაღალი, მიმზიდველი აღნაგობის, *tuba boylu* -სამოთხის ხის ტანიანი.

Schota Rustaveli (1196-1207) [6.227.]

ყენოსა სული **ალვისა**, | ქართაგან მონატაცისა;

Gül, kokulu, **servi boylu** kahramanın pençesinde [6.227.]

Schota Rustaveli (1196-1207) [8.281.]

რომე მათ თანა **ალვისა** | ხეცა ვარგ იყო ხედ არად,

Bu yüce boyların yanında **sevi ağacı** bir hiçti, [8.281.]

Schota Rustaveli (1196-1207) [10.369.]

ჩემნი სწორნი წავიტანენ, | ჩემსა დავჯე, მოქვიან **ალვად**,

Topladım arkadaşları, beni **serviye** benzettiler, [10.369.]

Schota Rustaveli (1196-1207) [28.666.]

ღმერთმან ქმნას და კვლავა გნახო | **ალვა** მორჩი, განაზარდი.

Kismet olsun, **boylu-poslu** dostumu bir de göreyim [28.666.]

Schota Rustaveli (1196-1207) [56.1424.]

ტარიელსცა უსალამეს, | მას **ალვისა** მორჩსა ვით ხეს,

Tûba boylu Tariyel'i selâmladı onlar kalben; [56.1424.]

ალვის ხის შესატყვისებს შორის საინტერესოა *sıdr ağacı* - კედარის ხე, რომელიც თურქულ ლიტერატურაში გავრცელებული მეტაფორაა.

Schota Rustaveli (1196-1207) [9.330.]

დღე და ღამე მუჯამრითა | ეკმოდის **ალვა** თლილი;

Güzel koku yaysın diye **sidr ağacı** kestirdi gündüz-gece, [9.330.]

კედრის ხე „ღვთიურ ხედ“ იწოდება. ჰადისების⁶ მიხედვით, ზეცის მეექვსე საფეხურზეა (ზოგი მეცნიერის აზრით, მეშვიდე საფეხურზე) დარგული. ზეცაში ვინც მალღდება, მხოლოდ მეექვსე საფეხურამდე აღწევს (Pala, 2011, s. 404). ცნობილი მეცნიერის ს. ულუდაღის მიხედვით, მირაჯის ღამეს⁷, მუჰამედ მოციქული ღვთიურ საიდუმლოებებს სწორედ ამ ხის გვერდით ეზიარა (Uludağ, 2009, s. 37,151). სუფიური მოძღვრების მიხედვით, კედრის ხე სიმბოლურად გამოხატავს სულიერი შემეცნების იმ უკიდურეს ზღვარს, რომლის მიღწევაც ადამიანს შეუძლია (Pala, 2004, s. 417). არსებობს მოსაზრება, რომ Tûba ağacı (სამოთხის ხე) და Sidr ağacı (კედარი) ერთი და იგივე ხეა, რომელიც სამოთხის ცენტრში კოსმიურ ხედ იწოდება. მისი ტოტები ცაშია, ხოლო ფესვები დედამიწაზე (Cooper 1978, s. 178). ხშირად მას ადარებენ იუდაიზმში არსებულ ცოდნის ხეს, რომელიც სამყაროს შექმნის და დაფარული ცოდნის საიდუმლოებას ინახავს. საინტერესოა, რომ Servi ağacı-ის (კვიპაროსი) და Tûba ağacı-ის (სამოთხის ხე) მსგავსად კედარი სიცოცხლის ხესთან იგივდება.

რაც შეეხება თურქულ კლასიკურ ლიტერატურას, კედარი ზემოთ განხილული ხეების მსგავსად მიჯნურის ტანწერწეტობას და სილამაზეს გამოხატავს. აღმოსავლურ ლიტერატურაში მიჯნურის ტანადობის აღსანიშნად გამოყენებული თითქმის ყველა მეტაფორა ხეს უკავშირდება და ეს ხეები სხვადასხვა კულტურაში სიცოცხლის ხის ანალოგია. კვიპაროსი, რომელიც საყვარელი ადამიანის სიმაღლის აღსანიშნად ყველაზე ხშირად გამოყენებული მეტაფორაა, ჯერ კიდევ უძველესი დროიდან მესოპოტამიის რეგიონში სიცოცხლის ხედ ითვლებოდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ასეთივე მოსაზრებისაა ნ. სულავაც.

ამრიგად, Servi ağacı (კვიპაროსი), Tûba ağacı (სამოთხის ხე), Sidr ağacı (კედარი) - სამივე სამოთხეშია დარგული, სამივე ერთად გვხვდება კლასიკური ლიტერატურის პოეზიაში:

Bir dem ki ola nâz ile **serv** hırâmân

Hayretde kalur görse revân **Sidre** vü **Tûbâ**

RVNDV Gz 16/3

როდესაც **კვიპაროსის ხე** მოხდენილად ხარობს,

კედარი და **სამოთხის ხე** გაოცებულები არიან მისი დანახვით.

აქვე გვინდა, საინტერესო ფაქტს გავუსვათ ხაზი, ცნობილი რუსთველოლოგი ვ. ნოზაძე, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ ღრმა ფილოსოფიურ კვლევებს გვთავაზობს აღნიშნავს: ბიბლიაში „ალვა“ ორი სახელის მატარებელია: 1. ერეს (კედრის ხე) და 2. ბეროშ. და ამას გარდა მოხსენებულია „ალვა“, „ალოე“ შესაქმე, 30,37; გამოსლვა 15,25; ფსალმუნი 44,5. ნეემია 2,3; ეზეკია 9,2 და სხვა. ხოლო ქართულად ეს „ერეს“ და „ბეროშ“ ხშირად ნათარგმნია სახელით: „კედრის ხე“, ან „ნაძვი“ (Nozadze, 1957, s. 351). აქედან გამომდინარე, ალვის ხის კედრის ხედ თარგმნა ეფუძნება ბიბლიურ ტექსტებში დამკვიდრებულ და ქართული თარგმანის ტრადიციით განმტკიცებულ, უკვე გამოცდილ პრაქტიკას.

წარმოდგენილი ანალიზი ცხადყოფს, რომ კედარი (Sidr ağacı), სამოთხის ხე (Tûba ağacı) და

⁶ გადმოცემა მუჰამედისა და მის თანამოღვაწეთა შესახებ, პატარა ნოველები მუჰამედის ცხოვრების შესახებ.

ელერდაშვილი, ა. (2006), უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი, I-ლი გამოცემა: ფანტაზია, თბილისი

⁷ მუსლიმანთა ყოველწლიური რელიგიური დღესასწაული - ცაზე მუჰამადის ლეგენდარული ღამეული ამალღების აღსანიშნავად.

ჭაბაშვილი, მ. (1989), უცხო სიტყვათა ლექსიკონი, გამომცემლობა: განათლება, თბილისი

კვიპაროსი (Servi ağacı) სიმბოლურ სისტემაში საერთო სემანტიკურ ველში ერთიანდება და სიცოცხლის ხის არქეტიპთან პირდაპირაა დაკავშირებული. კედარი „ღვთიურ ხედ“ მოიხსენიება და ზეცის უმაღლეს საფეხურებთან არის დაკავშირებული, ხოლო სუფიური ინტერპრეტაციით იგი ადამიანის სულიერი შემეცნების საბოლოო ზღვარს განასახიერებს. ამავე დროს, არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც კედარი და თუბა აღიქმება ერთსა და იმავე კოსმიურ ხედ, რომლის ტოტემი ზეცაშია მიმართული, ფესვები კი - მიწიერ სამყაროში, რაც, შეიძლება ვთქვათ, რომ მის შუამავლურ ფუნქციას უსვამს ხაზს ზეცასა და მიწას შორის. კვიპაროსი, ისევე როგორც კედარი და თუბა, სიცოცხლის ხესთან იგივდება და სამოთხის სივრცესთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. თურქულ კლასიკურ პოეზიაში ეს ხეები ერთობლივად ჩნდება და მიჯნურის ტანწერწებობის, სილამაზისა და სულიერი სრულყოფილების მეტაფორებად გვევლინებიან. აღმოსავლურ ლიტერატურულ ტრადიციაში მიჯნურის სხეულის აღწერისთვის მეტაფორად გამოყენებული ხე არამხოლოდ ესთეტიკურ, არამედ ღრმა კოსმოლოგიურ შინაარსს ატარებს. კედარი (Sidr ağacı), სამოთხის ხე (Tûba ağacı) და კვიპაროსი (Servi ağacı) კლასიკურ პოეზიაში არა მხოლოდ პოეტურ სახეებს ქმნის, არამედ სამოთხის, მარადიული სიცოცხლისა და სულიერი აღმავლობის იდეების ერთიან სისტემას აყალიბებს. მათი თანაარსებობა ლიტერატურულ ტექსტებში ადასტურებს სიცოცხლის ხის სიმბოლოს ცენტრალურ ადგილს, როგორც სუფიურ მსოფლმხედველობაში, ისე თურქული კლასიკური ლიტერატურის პოეტურ აზროვნებაში.

რაც შეეხება კვლევის პროცესში კორპუსლინგვისტური და რაოდენობრივი ანალიზის მეთოდების გამოყენებას, კორპუსლინგვისტური ანალიზის მეთოდოლოგიური ჩარჩოდან გამოვიყენეთ ალინირების მეთოდი, მისი საშუალებით გამოვიკვლიეთ ორიგინალ და თარგმნილ ტექსტებში ალვის ხის თარგმნის ადეკვატურობა, კერძოდ, ალინირების სახეებიდან გამოვიყენეთ სიტყვა-სიტყვითი ალინირების მეთოდი, რაც „სიტყვების ლექსიკურ-სემანტიკური ან ფუნქციური ეკვივალენტების ურთიერთდაკავშირებას“ გულისხმობს (Tandashvili, 2021, s. 122). მაგალითისთვის განვიხილავთ შემდეგ სტროფს:

Shota Rustaveli (1196-1207) [1.50.]

მეფეთა შიგან სიუხვე, | ვით ედემს ალვა, რგულია;

Cömertlik şahlar için cennetteki tuba ağacı, [1.50.]

როგორც მოყვანილი ტაეპიდან ჩანს, აღნიშნულ შემთხვევაში თარგმნილი არაა „ვით“ თანდებული, თარგმანში სიტყვების მატება ან კლება შესაძლოა განპირობებული იყოს ენებს შორის განსხვავებული გრამატიკული წესების გამო, წარმოადგენდეს მთარგმნელის ინტერპრეტაციას ან სამიზნე ენაში არ არსებობდეს მისი შესატყვისი. კორპუსლინგვისტური ანალიზის გამოყენებას დიდი მნიშვნელობა აქვს მთარგმნელობითი პროცესის სიღრმისეული შეფასების, ორიგინალისა და თარგმანს შორის მეტაფორული სიმბოლიკის გადაცემის სიზუსტის კვლევისთვის.

რაც შეეხება რაოდენობრივი ანალიზის მეთოდს, როგორც უკვე აღვნიშნეთ „ვეფხისტყაოსანში“ ალვა 38-ჯერაა ნახსენები, ხოლო პოემის თურქულ თარგმანში 18-ჯერაა გადატანილი, 3 შემთხვევაში სტროფი, სადაც ალვაა ნახსენები, საერთოდ არაა თარგმნილი. ვფიქრობთ, რაოდენობრივი ანალიზის შედეგების ცხრილის სახით წარმოადგენა უფრო თვალსაჩინოს გახდის ორიგინალი და თარგმნილი ტექსტების განსხვავებას:

რუსთაველი	დინდარი, მაქასი
[0.27.] ალვა	სტროფი თარგმნილი არაა
[1.50.] ალვა	[1.50.] tuba ağacı (სამოთხის ხე)

“Kaplan Postlu” Manzumesinin Orijinal Metninde ve Eserin Türkçe Çevirisinde ‘Cennet Ağacı - Alva’ / Nikabadze, N. & Baramidze, M. & Tandilava, L.

[2.77.] ალვას	-
[4.120.] ალვა	-
[4.157.] ალვა	-
[6.227.] ალვისა	[6.227.] servi boylu (კვიპაროსის ტანიანი)
[8.281.] ალვისა	[8.281.] sevi ağacı (კვიპაროსის ხე)
[9.330.] ალვა	[9.330.] sidr ağacı (კედრის ხე)
[10.369.] ალვად	-
[10.369.] ალვად	[10.369.] serviye (კვიპაროსს)
[19.491.] ალვისა	-
[23.517.] ალვისა	[23.517.] servi boylum (ჩემი კვიპაროსის ტანიანი)
[23.522.] ალვა	-
[24.553.] ალვისა	[24.553.] servinaz (ნორჩი კვიპაროსი)
[27.616.] ალვისაც	-
[27.619.] ალვისა	-
[28.655.] ალვის	[28.655.] servinin (კვიპაროსის)
[28.666.] ალვა	[28.666.] boylu-poslu (მაღალი, მიმზიდველი აღნაგობის)
[29.694.] ალვა	[29.694.] servi ağacı (კვიპაროსის ხე)
[29.696.] ალვისა	[29.696.] serviye (კვიპაროსს)
[29.711.] ალვა	-
[29.715.] ალვა	-
[30.738.] ალვისა	-
[30.760.] ალვისა	-
[35.841.] ალვისა	[35.841.] servi boylu (კვიპაროსის ტანიანი)
[39.954.] ალვისა	[39.956.] servi (კვიპაროსი)
[46.1144.] ალვით	-
[46.1147.] ალვისა	[46.1148.] servi boylu (კვიპაროსის ტანიანი)
[47.1260.] ალვისა	[47.1261.] Servi boylum (ჩემი კვიპაროსის ტანიანი)
[50.1302.] ალვისა	-
[50.1310.] ალვისაგან	-
[52.1336.] ალვასა	[51.1337.] servi boyunu (შენს კვიპაროსის ტანიანს)
[52.1358.] ალვასა	-
[52.1359.] ალვისა	[51.1360.] servi (ალვა)
[53.1387.] ალვისა	-
[56.1424.] ალვისა	[56.1424.] Tûba boylu (სამოთხის ხის ტანიანი)

[61.1585.] ალვა	სტროფი თარგმნილი არაა
[62.1629.] ალვისა	სტროფი თარგმნილი არაა

რაოდენობრივი სურათის საფუძველზე მკაფიოდ იკვეთება რამდენიმე მნიშვნელოვანი ტენდენცია, რაც ორიგინალსა და თურქულ თარგმანს შორის განსხვავებას წარმოაჩენს:

1. სიხშირის შემცირება და შერჩევითი გადატანა - „ვეფხისტყაოსნის“ ალვის 38 შემთხვევიდან თურქულ თარგმანში მხოლოდ 18-ია გადატანილი, ხოლო 3 შემთხვევაში შესაბამისი სტროფი საერთოდ არაა თარგმნილი. ეს მიუთითებს, რომ მთარგმნელი ალვის მეტაფორას სისტემატურად არ ინარჩუნებს და არჩევითად ეკიდება მის გადმოცემას.
2. სიმბოლური ჩანაცვლება - თარგმანში ალვა ხშირად იცვლება სხვა ხეებით - უმეტესად კვიპაროსით (servi), ასევე კედრით (sidr) და სამოთხის ხით (Tûba). ეს ჩანაცვლებები შემთხვევითი არ არის: ყველა ეს ხე თურქულ კულტურულ სივრცეში სიცოცხლის ხესა და სამოთხის სიმბოლიკასთან არის დაკავშირებული. შესაბამისად, მთარგმნელს კარგად აქვს გააზრებული მისი სიმბოლური ფუნქცია.
3. მეტაფორის ლექსიკალიზაცია - რიგ შემთხვევებში ალვა ითარგმნება არა ხის სახელით, არამედ აღწერითი გამოთქმებით, როგორცაა *boyly-poslu* („მაღალი, მიმზიდველი აღნაგობის“). ეს აჩვენებს, რომ მეტაფორა გადადის პირდაპირი ფიზიკური აღწერის სიბრტყეზე და სიმბოლური შრე ნაწილობრივ ქრება.
4. კვიპაროსის დომინანტური როლი - მონაცემებიდან ნათლად ჩანს, რომ კვიპაროსი ალვის ძირითადი თურქული ეკვივალენტია. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ თურქულ კლასიკურ პოეტურ ტრადიციაში მიჯნურის ტანის სიმაღლისა და სილამაზის ყველაზე გავრცელებული მეტაფორა სწორედ კვიპაროსია.
5. კულტურული ადაპტაცია და არა სიტყვასიტყვითი თარგმანი - რაოდენობრივი ანალიზი ცხადყოფს, რომ თარგმანი ორიენტირებულია კულტურულ ადაპტაციაზე. ალვის სიმბოლო გადატანილია იმ სახით, რომელიც თურქული კლასიკური პოეზიის სიმბოლურ სისტემაში უფრო ორგანულად თავსდება.

აღნიშნული კვლევის შედეგების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „წყარო ტექსტისადმი ერთგულებით შესრულებული თარგმანები თარგმანის თეორიაში „ადეკვატურად“ ფასდება, ხოლო სამიზნე ტექსტის სტრუქტურულ-სტილისტურ თავისებურებებთან მეტად შესაბამისი თარგმანები - „მისაღებ თარგმანად“ ...თარგმანს თუ მთლიანობაში განვიხილავთ, მისი ანალიზი საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ სამიზნე ენის ნორმებისა და კომუნიკაციური თავისებურებების გათვალისწინებით შერჩეული თარგმანი განხორციელებულია „მისაღები თარგმანის“ პრინციპის შესაბამისად“ (Öztürk, 2022, s. 754-755). თურქულ თარგმანში გამოყენებულმა სხვადასხვა შესატყვისმა ხელი შეუწყო ორიგინალი ტექსტის ახალი და მრავალპერსპექტიული გააზრების პროცესს, რადგან თურქულ თარგმანში გამოყენებული **ალვის ხის** თითოეული შესატყვისი ასახავს მნიშვნელოვან კულტურულ და ინტერპრეტაციულ შრეს. თავისთავად თარგმანი კი საკმაოდ რთული პროცესია, რომელიც არამხოლოდ ენასა და კულტურასთანაა მჭიდრო კავშირში, არამედ დაკავშირებულია სხვადასხვა დისციპლინასთანაც (Öztürk, 2023, s. 658).

დასკვნა

როგორც დავინახეთ, „ვეფხისტყაოსანსა“ და თურქულ კლასიკურ პოეზიაში ადამიანის მეტაფორად გამოიყენება სამოთხის აღმნიშვნელი სიმბოლოები. პოემის თარგმანში, შეყვარებულის ტანის მეტაფორად გამოყენებული კედარი (Sidr ağacı), სამოთხის ხე (Tûba ağacı) და კვიპაროსი (Servi ağacı) სიცოცხლის ხის სიმბოლიკასთანაა პირდაპირ კავშირში და სამოთხესთანაა დაკავშირებული.

განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ალვის ხის შესატყვისად მთარგმნელმა შეძლო წმინდა კულტურულ კონტექსტზე დაფუძნებული მრავალფეროვანი ეკვივალენტების მოძიება. აღნიშნული შესატყვისები არა მხოლოდ ლექსიკური ეკვივალენტების ფუნქციას ასრულებს, არამედ მკაფიოდ წარმოაჩენს კულტურათაშორისი დიალოგის სიღრმეს და სიმბოლური აზროვნების მრავალშრიანობას. შედეგად, ალვის ხე ტექსტში იქცევა იმ საკვანძო ნიშნად, რომელიც ქართულ და თურქულ პოეტურ ტრადიციებს შორის არსებულ საერთო არქექტიპულ საფუძვლებსა და განსხვავებულ კულტურულ ინტერპრეტაციებს ერთდროულად ავლენს. ამრიგად, ხის მეტაფორების - ალვის ხის, მისი თარგმანების - კედრის, სამოთხის ხისა და კვიპაროსის ანალიზი ცხადყოფს, რომ „ვეფხისტყაოსანსა“ და თურქულ კლასიკურ პოეზიაში სამოთხის სიმბოლიკა არა მხოლოდ ესთეტიკურ ფუნქციას ასრულებს, არამედ წარმოადგენს მსოფლხედვით ღერძს, რომლის ირგვლივ ფორმირდება სიყვარულის, სილამაზისა და სულიერი სრულყოფილების პოეტური კონცეპტუალიზაცია.

Kaynakça

- Ağaç, S. M., Sakarya M. (2015). Hayat Ağacı Sembolizmi, Uluslararası Kültürel ve Sosyal Araştırmalar Dergisi.
- Bayram, Y. (2006). Servi. Türk Dünyası Edebiyat Kavramları ve Terimleri Ansiklopedik Sözlüğü 5. Ankara: Atatürk Kültür Merkezi Başkanlığı Yay.
- Belli, O. (1982). Urartularda hayat ağacı inancı. Anadolu Araştırmaları VIII.
- Chlaidze, L. And etc. (2001). Turkish–Georgian Dictionary. Tbilisi: Institute of Oriental Studies.
- Cooper, J. C (1978). An Illustrated Encyclopaedia of Traditional Symbols. London: Thames and Hudson Press.
- Dindar, B., Makas, Z. (1991). *Kaplan Postlu Şövalye*. Samsun: Eser Matbaası.
- Elashvili, K. (2014). "Essayistic Facial Expression." Tbilisi: Sveti Publishing.
- Eliade, M. (2003). Dinler Tarihine Giriş, Kabalcı Yayınları, İstanbul.
- Ergun, P. (2004). Türk kültüründe ağaç kültü. Ankara: Atatürk Kültür Merkezi Başkanlığı Yay.
- Gamsakhurdia, Z. (1991). Vepkhistkaosnis sakhismetkveleba („ვეფხისტყაოსნის“ სახიმეტყველება), Tbilisi: Metsniereba.
- Katcharava, N. (2017). Shota Rustaveli and The Knight in the Panther's Skin in the Turkish Literary Space, Conference Proceedings of the International Scientific Conference Commemorating the 850th Anniversary of Shota Rustaveli. Düzce University, 397–419.
- Nikabadze, N. (2023). A Corpus Linguistic and Critical Analysis of the Turkish Translations of "The Knight in the Panther's Skin" (dissertation), Batumi Şota Rustaveli State University, Batumi https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_18248_1.pdf
- Nozadze, V. (1957). "The Astrological Worldview of The Knight in the Panther's Skin" („ვეფხისტყაოსნის ვარსკვლავთმეტყველება“), Santiago de Chile: Avtandil Merabishvili's Edition.
- Öztürk, A. Ş. (2012). Yakındoğu Demirçag Uygarliklaında Hayat Ağacı, YLT, Diyarbakır.
- Öztürk, G. M. (2025). The Georgian Figure in Dede Korkut Tales: Historical, Cultural and Narrative Contexts. *Avrasya Uluslararası Araştırmalar Dergisi*, 13/46, 98-118.
- Öztürk, G. M. (2023). Suat Derviş'in "Fosforlu Cevriye" adlı eserinin Gürcüce çevirisinin erek odaklı çeviri kuramı ışığında incelenmesi. *RumeliDE Dil ve Edebiyat Araştırmaları Dergisi*, (Ö12), 657–667.
- Öztürk, G. M., (2023). *Türkçenin konuşulduğu yerde XIX. yüzyıl Gürcü yazarlığı (XIX საუკუნის ქართული მწერლობა თურქულენოვან სივრცეში)*. TÜRK-GÜRCÜ KÜLTÜREL İLİŞKİLERİ (TARİH-KÜLTÜR- DİL VE EDEBİYAT), Sempozyum Tam Metin Bildiri Kitabı, Düzce, Türkiye, 613-618.
- Öztürk, G. M. (2022). Çeviri stratejileri ve işlemleri açısından Cemal Karçhadze'nin "Antonio ve Davit" adlı romanının incelenmesi. *RumeliDE Dil ve Edebiyat Araştırmaları Dergisi*, (Ö11), 745–755.
- Öztürk, G. M., (2021). Gideon Toury'nin Erek Odaklı Çeviri Kuramı Kapsamında Orhan Hançerlioğlu'nun "Ali" Adlı Romanının Gürcüce Çevirisinin İncelenmesi, *RumeliDE Journal of Language and Literature Studies*, (pp. 954-967).
- Öztürk, G. M., Telci, S. (2021). Mikail Cavakhişvili'nin "Orman Adam" adlı hikâyesinin Türkçe karşılaştırmalı analizi. *International Journal of Language Academy*, 9(4), 272–287.
- Pala, İ. (2011). Ansiklopedik Dîvân Şiiri Sözlüğü, 20.Baskı, İstanbul: Kapı Yayınları.
- Pala, İskender (2004). Ansiklopedik Divan Şiiri Sözlüğü, İstanbul: L&M Yay.
- Rustaveli, Sh. (1957). *The Knight in the Panther's Skin* („ვეფხისტყაოსანი“). Haz. Shanidze, A.,

“Kaplan Postlu” Manzumesinin Orijinal Metninde ve Eserin Türkçe Çevirisinde ‘Cennet Ağacı - Alva’ / Nikabadze, N. & Baramidze, M. & Tandilava, L.

Kekelidze, A., Baramidze, A. Tbilisi: Sakhelgami.

Sulava, N. (2009). “The Knight in the Panther’s Skin: Metaphor, Symbol, Allusion, Enigma”, Tbilisi.

Sulkhan-Saba. (1949). Georgian dictionary (Sitkvis Kona Kartuli), Edited by S. Iordanishvili, Tbilisi: Georgian SSR State Publishing House.

Tandashvili, M. (2022). Digital Rustvelology, Achievements, Perspectives, Tasks. Tbilisi: Iverioni.

Tsereteli, L. (2011-2012). The Symbolism of “The Tree of Heaven” in “The Knight in the Panther’s Skin”. Tbilisi: Rustvelology VI.

Uludağ, S, (2009). “Sidretü’l-müntehâ” 37, 151-152. Ankara: TDV İslâm Ansiklopedisi.

Yücel Ö. (2013). Dîvân Şiirinde Ağaç: Ağaçlara Dair Söz Varlığı ve Tasrif Usulleri, Journal of Research in Turkic Languages, London.